ხელშეკრულება № [illegible] 12/08/14

ქ. თბილისი „20“ აგვისტო 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს **„საქაერონავიგაცია“** (შემდგომში - „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ“-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ.თბილისში კომპანია შპს „სი-ტი პარკ“-ის ავტოსადგომებზე დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორი კოდი: **63712400.**

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალებაა: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1. პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 ლარს.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით განხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ “შემსყიდველის” კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სისტემაში გააქტიურებით, რაც უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2. გასაწევი მომსახურების ვადები აითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 12 თვის ვადით.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს

ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით მე-2 მუხლში მითითებული პირობების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს დიზი ტაბატაძე, ლოგისტიკის სამსახურის უფროსი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ

მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შპს „საქაერონავიგაცია"
საიდენტიფიკაციო კოდი 208144051
ქ. თბილისი, აეროპორტი 0198,
ტელ: 2 74-42-12
სს ბანკი „რესპუბლიკა",
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა GE69BR0000000005467067

გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 2555123
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45

გენერალური მენეჯერი
ბინიამინ ლაჰავ

დანართი № 1

ხელშეკრულება № ძთ31 12/08/14

ავტოსატრანსპორტო საშუალებების
ჩამონათვალი

1	NAV 030
2	NAV040

შემსყიდველი

გენერალური დირექტორი

გოჩა მეზვრიშვილი

მიმწოდებელი

გენერალური მენეჯერი

ბინიამინ ლაჰავ